# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდღეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888



«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»

სასარგებლოდ გამართული იქნება მუშტაიდში

**ლოტერეა-ალლეგრი**

აპრილის დამლევს ან მაისის დამდეგს.

ვინც კეთილ-ინებებს და რაიმე ნივთს შემოსწირავს საზოგადოებას, ვთხოვთ გამოგზავნოს ან ოლგა თადეოზის ასულის კნ. ჭავჭავაძის სადგომზე (Ново-Бебутовская ул., домъ Зубалова, № 9), ან «წერა-კითხვის საზოგადოების» კანცელარიაში (Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110).


ტფილისი, 7 აპრილი

ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ კავკაველ ქართველთა განზრახვა აქვთ გაჰმართონ საკუთარი სკოლაო. როგორც ჩანს, ეს განზრახვა ღრმადა აქვთ გამჯდარი გულში და ამიტომ იმედიც არის, რომ ადრე თუ გვიან განზრახვა საქმედ იქცევა და ორასიოდე კომლს ქართველებისას საშუალება მიეცემა საკუთარს ენაზე ისწავლონ და იაზრონ. მართალია, ჩვენ ყოველს ცნობას სკოლის დაარსების შესახებ საქართველოს რომელსამე ადგილას დიდის სიხარულით მივეგებებით ხოლმე, მაგრამ კიდევ მეტის სიხარულით და სიამოვნებით უნდა მივიღოთ კავკაველ ქართველთა განზრახვა. საქმე ის არის, რომ სხვა-და-სხვა ადგილას კავკასიაში, მაგალითად, კავკავში, მოზდოკსა და ყიზლარში, სცხოვრობენ ქართველები, რომლებიც სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო მოწყვეტილნი არიან საქართველოზე. უმეტესი იმათგანი იმ ქართველთა შთამომავალნი არიან, რომლებიც წარსულ დროთა ისტორიულმა მღელვარებამ საქართველოდგან გადაისროლა და დააბინავა უცხო გარემოებათა შორის. აი, სწორედ ამით არის საგულისხმო კავკაველ ქართველთა განზრახვა, რომ დედაქვეყანაზე დაშორებულ ქართველთა შორის აღიძრა კეთილი აზრი. იმათი განზრახვა იმის საბუთია, რომ შესაძლოა დანარჩენ ქართველებმაც, რომელნიც გუნდ-გუნდად არიან ჩათესლილნი აქა-იქ, მიჰბაძონ კავკაველ ქართველებს. თუ ჩვენი იმედი გამართლდა, მაშინ უეჭველია, რომ ის ქართველნი, რომელნიც ჩვენთან ერთად ვლიან მშვიდობისა და სწავლა-განათლების გზითა. დღემდის-კი ის ჩვენზე ბინადრობით დაშორებულნი მოძმენი თითქმის ყოველისფრით დაშორებულნი იყვნენ ჩვენზე, თითქო ჩვენსა და იმათ შორის შეწყვეტილი იყოს ყოველივე კავშირი.

დღემდის არ გვინახავს, რომ იმ გადასახლებულ ქართველთა რითიმე თავი ეჩინოთ, ან სწავლა-განათლებაში და ან სხვა რომელსამე საზოგადო საქმეში. რასაკვირველია, ამ სამწუხარო გარემოებას თავისი საბუთი აქვს, სახელდობრ ისა, რომ ისინი მოქცეულნი იყვნენ უცხო გარემოებათა შორის პატარ-პატარა გუნდად და სამშობლო ნიადაგს დაშორებულნი იყვნენ. იმათ თავისი ძალ-ღონე მთლად იმისათვის უნდა მოენდომებინათ, რომ როგორმე ხელიდგან არ გამოსცლოდათ ლუკმა პური. იმათგან ისიც დიდი საქმეა, რომ დღემდის არ დაჰკარგვიათ თავიანთი განსაკუთრებული სახე და ასე თუ ისე მოაღწიეს ჩვენს დრომდე.

კავკაველთ ქართველთ განზრახვა იმდენად სასიამოვნოა, რომ აუცილებლად საჭიროა ყველამ მხარი მისცეს. რასაკვირველია, იმათს ნება-ყოფლობასა და მეცადინეობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ თვით ქალაქმაც უნდა აღმოუჩინოს შემწეობა და ჩვენმა «წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც». ამ სამთა შეერთებულმა შრომამ და მეცადინეობამ უნდა დაუდოს საძირკველი იმ ქართველთა სწავლა-განათლებას და წარმატებას.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისათვის შეერთების თაობაზე მიუწერია, რომ აზრი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა შესახებ ტფილისის ბანკთან შეერთებისა ყოვლად თანასაგრძნობელი აზრია, მხოლოდ ის საკითხავი, თუ, როგორ და რა გზით უნდა განხორციელდეს ეს აზრი, გამოძიებული არ არის და, მაშასადამე, იმ გზაზედ სდგას, რომ ამ საკითხავზედ ჯერ გადაწყვეტილად არა ითქმის-რა. ტფილისის ბანკის მმართველობის აზრით, თუ ამ უკანასკნელის მხრით საქმე არ მომზადდა, ყველა წვლილი არ გამოირკვა, შეერთების საქმის შედგომა შეუძლებელია. ამიტომაც ტფილისის ბანკის მმართველობამ საჭიროდ დაინახა, რომ საზოგადო კრებამ თვითეეულის ბანკისამ ცალ-ცალკე კომისია ამოირჩიოს სამ-სამის წევრისაგან შედგენილი, ამ კომისიებს ერთად დაავალოს ყოველ მხრივ გამოიძიონ საქმე ჯეროვანად, შეადგინონ გამონაძიების მიხედვით თავისი დასკვნა და ეს დასკვნა ყოველის გამოძიებულის საბუთებით გადასცენ თვითეეულის ბანკის ზედამხედველს კომიტეტს და მმართველობას ჯერ ცალკე მოსაფიქრებლად და, თუ საჭირო იქნება, შესავსებად და შესასწორებლად და მერე ეგრედ თვითეეულთაგან მომზადებული და შემუშავებული პასუხი განიხილონ ორივე კომიტეტების და მმართველობათგან შეერთებულ კრებაშიო. დასასრულ, აქ განკითხული, გარჩეული, გამოძიებული და გამორკვეული აზრი შეერთებისა თვის დასაბუთებული დასკვნითა წარედგინება თვითეეულის ბანკის საზოგადო კრებას განსახილველ და და გადასაწყვეტადაო. ტფილისის ბანკის მმართველობამ ესეთი გზა აირჩია ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავ-მჯდომარის მიერ წარმოდგენილის, დიდად თანა-საგრძნობელის აზრის გასამარჯვებლად და ბოლომდე გასატანად.

*** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, მეორე ლექცია წაიკითხა ბ-ნმა ი. მეუნარგიამ. ეს მეორე ლექციაც ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო იყო. ლექტორმა გვიამბო მოკლედ ისტორია პოეტის თ. გრ. ორბელიანის სამხედრო სამსახურისა, მოგვითხრო, როდის რა თანამდებობა ჰქონდა მინდობილი, სად როგორ იქცეოდა, სად იბრძოდა, როგორ განაგებდა

# ფელეტონი

## ...ვენი საეკკლესიო სჯულ-მდებლობა.

ძეგლის წერა

V*)

ჩვენ ვსთქვით, რომ ძეგლის წერა, სხვათა შორის, სასულიერო წოდების მაღლეს წარმომადგენლებს ებრძვის, სდევნისო. მიზეზი ცხადია: უწესოება, უზნეობა სწორედ მათგან წარმოსდგებოდა. მაღალის დასის სასულიერო კაცნი დაემონავნენ ანგარებას, საქაო სიამოვნება და ფუფუნება კერპად გაიხადეს, ბომონად იწამეს ოქროსა და ვერცხლის თაყვანისცემა იქამდე მივიდა, რომ, ასე ...ნჯეთ, მცირედის სამსახურის, აი ...უნდა „კერძო დიაკვნობის“, მიღება-კი ქრთამზედ და საფასზედ იყო დამოკიდებული: უქრთამოდ არა კეთდებოდა-რა. ნიჭსა და სწავლას გზა ...რული ჰქონდა, ფასი დაეკარგა, ...რისხის მისაღებლად საჭირო იყო «ქრთამი», «ძღვენი». ამ სამწუხარო ...მავნებელმა მიმართულებამ შეარყია საეკკლესიო გამგეობა, სასულიერო წოდების მმართველობა. რადგანაც მაღალ-ხარისხოვანნი კაცნი ...რებას ემსახურებოდნენ, რასაკვირველია, თვით სასულიერო და საეკკლესიო საქმეების წარმოება უკულმა დატრიალდა: უფროსებმა დაჰკარგეს პატივი, ნდობა, უმცროსებმა კიდევ დაივიწყეს მორჩილება, მიეცნენ თავგასულობას. ეს უკულმართობა, არევდარევა იმდენად გაძლიერდა, რომ თავი იჩინა თვით მონასტრებშიც, სადაც ერთიერთმანერთის მორჩილება და ნდობა აღარ იყო, სადაც წესიერების მაგივრად შფოთი და განხეთქილება სუფევდა. ამას ცხადად გვიჩვენებს ძეგლის წერა, რომელიც მოგვითხრობს — თუ რამდენად საჭიროა წესიერება და იმისი აღდგენა, დაცვა მონასტრებში (იხ. მაგალითებრ, მუხ. თ და ი). იმავე ძეგლიდგან სჩანს, რომ უწესოება და ურჩობა გავრცელებული იყო მთლად სასულიერო წოდებაში.

როგორც თქვენც ჰხედავთ, საქმეთა ვითარება და გარემოება თხოულობდა, რომ «წმინდა კრებას» ყურადღება მიექცია საეკკლესიო მმართველობისა და გამგეობის განკარგებისათვის. სწორედ ასეც მოიქცა იგი კრება. ამიტომაც ძეგლის წერა იშვიათის გამბედაობით სდევნის და სთრგუნავს ყოველ გვარ უწესოებას, ძალუმის ხმით ჰღაღადებს, რომ ყველანი, უფროსნი თუ უმცროსნი, ემორჩილებოდნენ წესსა და რიგსა. რასაკვირველია, არც კრებამ და არც ძეგლმა საეკკლესიო გამგეობაში ახალი ცვლილება არ მოახდინა, ისეთი წესები არ დაადგინა, როგორიც საეკკლესიო მმართველობას არა სცოდნოდეს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც დიდი ღვაწლი და სიკეთე დასდო სასულიერო წოდებას იმით, რომ, სხვათა შორის, წესიერება დაამყარა, ანგარება უარ-ჰყო და განსდევნა, «ქრთამისა» და «ძღვენის» მაგივრად სამსახურის სარბიელზედ წამოაყენა პირადი ღირსება, ნიჭს მისცა ფართო გზა... წესიერების დამყარება, პირადის ღირსების და ნიჭის თაყვანის-ცემა დიდად საჭირო იყო ჩვენის სასულიერო წოდების საბედნიეროდ და ეს საჭიროება დააკმაყოფილა «წმინდა კრებამ». აი სად მოიპოვება თვალ-საჩინო ღვაწლი საეკკლესიო მმართველობის გასაუმჯობესებლად.

რადგანაც მმართველობისა და გამგეობის დამცირება უმაღლესის დასის ბრალი იყო, ძეგლის წერამაც უმთავრესი თავისი ყურადღება ამ დასს მიაქცია, პირველი იერიში მიიტანა ეპისკოპოზებზე, რომელთაც «სული ხორცს დაუმორჩილეს», ეკკლესიისათვის ზრუნვა განუტევეს და საეკკლესიო გამგეობა შებილწეს ანგარებითა. ამიტომ ყველაზედ პირველად «წმიდა კრებამ» — «ეპისკოპოსნი არა ღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელთმთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მწყემს-მთავრისანი» განკვეთა და მათ ადგილას დაადგინა სხვანი, რომელთა «ჰასაკისაგან და საქმეთაგან აქენდა წამება»... (მუხ. ა). აშკარად სჩანს, რომ «ჰასაკს» — წლოვანებას და «საქმეს» — ხორცის კეთილად გაწვრთნას «დამორჩილებლად სულისა», ძეგლის წერა დიდს მნიშვნელობას აძლევს. საჭიროც იყო ესა: როცა «საეპისკოპოსო» ანგარების საგნად შეიქმნა, სიმდიდრის მოსახვეჭელ სახსრად გარდაიქცა, მაშინ «ჰასაკს» პატივი დაეკარგა, მნიშვნელობა მოესპო.. მაღალის ხარისხის მიღება ჩამომავლობასა და გვარიშვილობაზედ იყო დამოკიდებული, ხოლო გვარიშვილობისათვის საჭირო არ იყო არც «ჰასაკი» და არც «ხორცის გაწვრთენა». მეტად ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ მცირე-წლოვანს და ცხოვრებაში გამოუცდელს, გაუწვრთნელს ეპყრა „საეპისკოპოსო“, „ხორცის“ მონას ებარა სასულიერო გამგეობა სამწყსოსი. რასაკვირველია, ამ გვარმა უწესოებამ გარყვნა ხალხის ცხოვრება, სასულიერო წოდება დაამძლურა, ეკკლესიის გავლენა და მნიშვნელობა შეამცირა. ზნეობის აღსადგენად და საეკკლესიო გამგეობის განსაახლებლად საჭირონი იყვნენ ისეთნი კაცნი, რომლებსაც „ჰასაკისაგან და საქმეთაგანცა აქენდათ წამება“. სწორედ ძეგლის წერამ ასეთი კაცნი დაადგინა, ასეთს კაცებს მიანდო სასულიერო და საეკკლესიო წინამძღოლობა.

მაგრამ მმართველობისა და გამგეობისათვის მარტო ზნეობრივი მხარე საკმაო არაა, საჭიროა აგრეთვე სწავლა, მეცნიერება. მაღალ ზნეობით შემკული კაცი ერსა და საზოგადოებას წინ ვერ გაუძღვება, გამგეობას ვერ გაუწევს, თუ სწავლითა და მეცნიერებით განვითარებული არ არის. მხოლოდ ზნეობრივი ღირსება და მეცნიერებით გაწვრთნილი ჭკუა-გონება ჰქმნის, ჰბადავს ერის ნამდვილს გამგებელს. ძველს საქართველოში ეს ჭეშმარიტება კარგად ესმოდა სასულიერო წოდებას და ამიტომ ამ წოდების გამგებელთა მეცადინეობა იმაზედ იყო მიმართული, რომ სწავლა-მეცნიერება უხვად მოეფინა თავის წრეში. მეცადინეობას უქმად არ ჩაუვლია და, როგორც ჩვენი წარსული ცხოვრება გვიმტკიცებს, სასულიერო წოდებამ მართლაც ბევრი შესანიშნავი სწავლული და მეცნიერი წამოაყენა ცხოვრების ასპარეზზედ, თუმცა ისიც-კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგჯერ საოცარი უმეცრება სუფევდა დაბალს დასში, სამღვდელოებაში. უტყუარ და ნამდვილ საბუთებიდგან ცხადად სჩანს, რომ ჩვენი სამღვდელოება ხანდისხან ისეთს უმეცრებაში იმყოფებოდა, რომ სულ უბრალო თავის მოვალეობის აღსრულებაც არ შეეძლო, სახელდობრ — იყვნენ ისეთნი უმეცარნი მღვდელნი, რომელთაც არ იცოდნენ აღსარება როგორ ეთქმევინებინათ მრევლისათვის, სახარება როგორ წაეკითხათ ეკკლესიაში [32]; მაგრამ სახარების კითხვისა და აღსარების თქმის უცოდინრობას ვინ-ღა იტყვის, როდესაც უმეცრება იქამდე ძლიერი იყო, რომ ზოგჯერ მღვდელსა და დიაკვანს დავითნისა და კურთხევანის კითხვაც არ შეეძლოთ; ეპისკოპოზი-კი, ასე თუ ისე, იძულებული გახდებოდა ხოლმე ასეთნი უმეცარნი კაცნი მღვდლებად და დიაკვნებად ეკურთხებინა [33]). ჩვენდა სანუგეშოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სამარცხვინო უმეცრებას თავისი სათანადო და პატივსადები მიზეზიცა ჰქონდა. ეს მიზეზი უფრო საეკკლესიო წიგნების უქონლობა იყო და სწორედ ამ საზოგადო მიზეზმა გა-

*) იხ. «ივერია» №№ 38, 46 და 47.

[32]) Церк. Гуджари, стр. 40—41, სადაც მოყვანილია იოსებ კათალიკოზის ეპისტოლე ნეკრესის ეპისკოპოზ დოსითეოზის მიმართ, მუხლი თ.

[33]) «რომელმანცა ეპისკოპოზმან დიაკვანი და მღვდელი ასრე აკურთხოს, რომ... დავითნისა და კურთხევანისა კითხვა არ შეეძლოს...» სამართალი კათალიკოზისა, მუხ. თ.

საქმეს ამა თუ იმ ქვეყნის მმართველსა და როგორ შეიქმნა ბოლოს კავკასიის მთავარ-მმართებლად. ყოველივე ეს მოკლედ გვიამბო, მაგრამ ამ მოთხრობის დროს გზა-და-გზა გაგვაცნო იმისი კერძო მიწერ-მოწერაცა, რომელიც სავსე იყო ინტერესითა. ლექტორმა სრულიად გამოსტოვა ლექციის პროგრამიდამ, როგორც განხილვა პოეტის ნაწერებისა, ისე იმის მოღვაწეობისა 1863 წელს, როცა ტფილისში არეულობა მოხდა. სამაგიეროდ ბ-ნმა მეუნარგიამ ვრცლად ილაპარაკა და ცხოვლად დაგვიხატა სურათი გრ. ორბელიანისა, როგორც მამული-შვილისა და საზოგადო მოღვაწისა. ამ მხრივ გრ. ორბელიანის მიწერ-მოწერამ, რომელიც ლექტორმა წარმოგვიდგინა, უხვი საბუთი მოგვცა შეგვეტყო ზედ-მიწევნით პოეტის აზრი და გრძნობანი ყოველის საყურადღებო საგნისა და საქმის შესახებ ჩვენში. წესი ქვეყნის მმართვისა და გამგეობისა, წინანდელი და აწინდელი მდგომარეობა ჩვენის თავად-აზნაურობისა, სასულიერო სემინარიისა და ეკკლესიისა, შემოერთება აჭარა-ქობულეთისა, აღზრდა ახალ-თაობისა, ჩვენებური სასამართლოები, გამიჯვნის საქმე, — ყოველივე ეს განსჯილია და განბჭობილი ამ კერძო წერილებში; განსჯილია და განბჭობილი ისეთის ნიჭიერებითა და გონიერებით, ისეთის ზედ-მიწევნილის ცოდნითა და სიბრძნით, რომ გიკვირთ და ამბობთ მხოლოდ: ბრძენი კაცი ყოფილა, ჭეშმარიტი ბრძენი ყოფილა პოეტი გრ. ორბელიანიო. რა საგანსაც-კი შეეხება ეს მაღალ-ნიჭიერი კაცი, რაც უნდა რთული იყოს ის საგანი, ისეთის სიმარტივით ჰხსნის, ისეთის თვალ-და-თვალობით და ცნობიერებით იკვლევს, თითქო იმისთვის საზოგადო საქმეებში საძნელოდ გასაგები არაფერი არა არსებობდაო. და მართლაც, რომ გრ. ორბელიანის ძლიერის გონებისათვის, დიდად ნავარჯიშევის ჭკუისათვის და ღრმა პატრიოტულის, ცხოველის და განმახვებულის გრძნობისათვის ყოველივე, რაც დაფარულია, ცხადი ყოფილა, ყოველისავე ნივთის მიზეზი, ანტონ კათალიკოზისა არ იყოს, ხელის გულზედ ჰქონია გადაშლილი. გრ. ორბელიანმა ზედ-მიწევნით იცის ისტორია მსოფლიო და საქართველოსი, ხელოვანი პოლიტიკოსია და ადმინისტრატორი, გულ-წრფელი მამულიშვილია, და ამასთანავე უკეთესი პედაგოგია, ფსიხოლოგია, ესტეტიკოსია და ღრმად მორწმუნე და დიდი ღვთის-მოსავი. დაუმატეთ ყოველსავე ამას დიდი გონებამახვილობა, უწყინარი ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სიყვარული თავის სახელოვანის გვარეულობისა, ნათესაობისა და საზოგადოდ მოყვასისა, და თქვენ თვალ-წინ ცხოვლად წარმოსდგება ის დიდ-ბუნებოვანი კაცი, ის მოწიწებით პატივსაცემი, მარად მოსაგონებელი და სახსოვარი ადამიანი, რომლის აზრთა გულში გატარებამ დაატკბო გუშინ-წინ ლექციაზე დამსწრე ქართველი საზოგადოება. ტყუილად-კი არა სთქვა ბოლოს ლექტორმა: ბევრი რამ კარგი მქონდა გულში გრ. ორბელიანზე თქვენდა სათქმელადაო, მაგრამ მომიტევეთო, რადგან, ლამარტინისა არ იყოს, ყოველივე რაც კარგი რამ არის გულში, გულიდამ არ ამოდის და გულშივე რჩებაო.

დაიშალა ხალხი, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, უფრო ცოტა იყო, ვიდრე პირველს ლექციაზე და თითქმის ყველას გაკვირვებული სახე ამას ამბობდა: რა ვიცოდით, თუ მაგეთი დიდ-ბუნებოვანი კაცი მოქმედობდა და ილეწოდა ჩვენ შორისაო.

დიაღ, დიდ-ბუნებოვანი, ზეგარდმო მადლით-ცხებული ყოფილა ჩვენ შორის და ჩვენ იგი ვერ ვსცანით, ვერც-კი მიუხვედით დიდ-ბუნებოვანებასა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ინგლისელი ფილოლოგი მორფილი, ქართულის ენის მცოდნე და მკვლევარი.

*** როგორც სჩანს ბ-ნ დანილოვის წერილიდგან და ტფილისის ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარის, ბ-ნის სმიტენის, მოწმობიდგან, რომელიც დაბეჭდილია გაზ. «Нов. Обозр.»-ეს უკანასკნელს ნომერში, ტფილისის სასამართლოს არ დაუდგენია, რომ ბ-ნი დანილოვი დისციპლინარულს სამართალში მიეცესო. სასამართლოს მოუთხოვნია დანილოვისათვის, რომ მან წარუდგინოს სასამართლოს საჭირო ცნობები იმ წერილის გამო, რომელიც დანილოვს ვითომ მიუწერია თავ. ალ. ნიჟარაძისათვის, და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მიეცა თუ არა ჯამაგირი მღვდლიევსაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ალ. ხახანაშვილს, რომელიც წელს ათავებს კურსს მოსკოვის უნივერსიტეტში და რომელმაც ამას წინად მიიღო ჯილდოდ უნივერსიტეტის საბჭოს მიერ ვერცხლის მენდალი ერთის თავის თხზულებისათვის, დაუწერია «ქილილასა და დამნაზედ» ცალკე რეფერატი, რომელსაც რეფერენტი წაიკითხავს ამ დღეებში მოსკოვის ესრედ წოდებულს აღმოსავლეთის კომისიაში.

*** ტფილისის გამგეობას გაუთავებია ვერის ხიდის აღმართზე წყლის მილების კეთება. მილები ახლა ისე მკვიდრად არის აქ ჩაწყობილი, რომ დიდხანს აღარ დასჭირდება შეკეთებაო. ამას გარდა აღმართი ისე გაკეთდა ახლა, რომ ცხენის რკინის გზის რელსებიც ბევრად უკეთ დაეწყობაო. თვით ვაგონები, რომელიც აგერ ორ თვეზედ მეტია, რაც ამ გზაზედ აღარ დადიოდნენ, ახლა ამ დღეებში კვლავ დაიწყებენ სიარულსა.

*** ქუთაისში ერთი ახალგაზდა შესდგომია გერმანულ კლასიკების თხზულებათა თარგმნას ქართულად. მთარგმნელი ეხლა სთარგმნის «ნათან ბრძენს» ლესინგისას.

*** სოფელს საგარეჯოში იქაურს გამსესხებელ-შემნახველს ამხანაგობას საზოგადო კრება ჰქონია. ამხანაგობის კრებას შეუმოწმებია დავთრები და აღმოუჩენია, რომ საქმის წარმოება კანონიერი ყოფილა. მხოლოდ რამდენიმე წვრილმანი საჩივარი მოუსმენია ყრილობას, მაგრამ უმნიშვნელობის გამო უყურადღებოდ დაუტოვებია. მაგრამ ერთი უსიამოვნო ამბავი ის მოხდა ამ ამხანაგობის მატიანეში, რომ ერთი იმისი წევრი, რომელსაც სამას თუმნამდე აქვს შემოტანილი სამუშაოდ, უკან ითხოვს თავის ფულსა. ამხანაგობამ გადასწყვიტა დაუბრუნოს ამ წევრს ერთის წლის განმავლობაში თავისი ფული. ამხანაგობა აქამდე ამუშავებდა ცხრაას თუმნამდე, ახლა-კი, ამ ფულის გარდახდის შემდეგ, ექვსასი თუმანი-ღა დარჩება.

*** სოხუმი: 4-ს აპრილს, დილის ხუთს საათზე, ჩამოარჩევს სამი აფხაზი, რომლებსაც დროებით სამხედრო სა[...] სამართლომ სიკვდილით დასჯა მი[...] საჯა ცენერალ ზავადსკის მოკლ[...] თვის. ერთი დამნაშავეთაგანი, [...] ხელდობრ აშუა, ძლიერ თამამად [...] ევება სიკვდილსა.

*** 6 აპრილს, პოლიციის მე-5 ნაწილ[...] ქუჩაში იპოვნეს დასუსტებული ქ. შუ[...] მცხოვრებელი, ალექსანდრე იაკობის ძე [...] ნუჩაროვი, რომელსაც ეტყობოდა, რომ [...] წამლული იყო. ავადმყოფი მანუჩაროვი [...] ხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს შემ[...] ბის აღმოსაჩენად. დამნაშავე-კი, მანუჩარ[...] ვის დეიდა, მართა თედოშვილი, დაპატ[...] რებულია. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ზუგდიდი**, ერთი 18 წლის ყმაწვი[...] ლი ყოფილიყო მსახურად ერთს აჭა[...] ოჯახში, სადაც ცოტათი ფრანგულ[...] ლაპარაკი და წერა-კითხვა ესწავლ[...] რამდენისამე თვის წინად დაითხოვ[...] ეს ყმაწვილი ამ ოჯახიდგან რაღაც სხვა-სხვა მიზეზების გამო, დარჩა ყმაწვილი კაცი უსაქმოდ და, რასაკვირველია, საქმე რამ უნდა აეჩინა, ან კარგი და ან ავი. ცოტაოდე ფიქრის შემდეგ კიდეც აჩინა საქმე ამ ყმაწვილმა. ადგა ერთს მშვენიერს დღეს, გასწია ტფილისში, მონახა ერთი ვიღაც ფრანგი, გაურიგდა დღეში ხუთ მანათად და გამოსწია უკანვე ზუგდიდში.

ჩამოვიდა თუ არა აქ, დაიქირავა ერთი ოთახი და დაბინავდა ამ ფრანგითურთ. მეორე დღეს მოიწვია თითო-თითოდ თხუთმეტამდის აჭარელი შეძლებული ვაჭარი და შეუკვეთა თითოეულ მათგანს ცხენისა, კამბეჩისა, ხარისა და ძროხის ტყავები; თითოს რამდენისამე ასის მანეთისა. პირობაც დაუწერა თითო-

მოიწვია ვახტანგ VI დროს სტამბის დაარსება და საეკკლესიო წიგნების ალბეჭდვა, როგორც ამას ამტკიცებს ჩვენის პირველის მესტამბის მიხეილ სტეფანეშვილის სიტყვები[34]). მაგრამ რაც უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი აღნიშნულის უმეცრებისა, ჩვენთვის აქ საჭირო ისაა, რომ მეგლის წერა, ზნეობრივის სიწმიდის გარდა, სასულიერო წოდებას ვალად სდებს სწავლა-განათლების მიღებას, შეძენას. მხოლოდ მეცნიერებით შემკულთა და ალჭურვილთა შეეძლოთ საეკკლესიო საქმეების გამგეობა, მთელის წოდების წინამძღოლობა. შესანიშნავი და საყურადღებო კიდევ ისარის, რომ წმიდა კრების დროს უმეცრებას ფესვი გაუდგამს თვით მაღალ დასშიც, მარტო მღვდლობა არა ყოფილა გარემოცული გონების სიბნელითა. ეს გარემოება მეტად სამწუხარო იყო და მეგლის წერაც სცდილობს, რომ შემდეგში ასე აღარ მოხდეს: «კათალიკოზი, ეპისკოპოსი და ქორ-ეპისკოპოსი ჰსჯულისა და სამღრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდეთ»... (მუხ. ც). ეს „სჯულისა და სამღრთოთა წიგნთა“ მეცნიერება საჭირო იყო «ფლობად და დაცვად ყოველთავე საქრისტიანოთა წესთა, რათა არა-რაი მათგანი განსცეს ქრთამისათვის» (იქვე).

[34]) «ვინაიდგან სამღვდელონი მამანი ქართველთანი დაკნინებულ იყვნეს სამღვდელოთა წიგნთაგან და ვერ წარემართებოდა ნაკლულევანთა მღვდელთაგან მღვდელობა»... და სხ. იხ. დ. ბაქრაძის Археологическое путешествіе по Гуріи и Адчарѣ, стр. 5—6.

როცა მეგლის წერამ ზნეობრივს ღირსებას და მეცნიერებას ფართო სასპარეზო გზა გაუხსნა, ამით ძირითადი ცვლილება მოახდინა საეკკლესიო მმართველობაში: მოსპო მარტო «გვარეულობითა» და «მამულობით» მაღალის თანამდებობის მიღება, ბოლო მოუღო ძველს წესსა, რომელიც მხოლოდ გვარიშვილობას აფასებდა და სხვას არაფერს. ეს მეტად დიდი ნაბიჯი იყო, მეტად თვალ-საჩინო საქმე, რომელმაც სულ სხვა გზაზე დააყენა საეკკლესიო გამგეობა, სხვა სული ჩაჰბერა დაძველებულს საეკკლესიო აგებულებას. ამ წესის შემოღებით მეგლის წერამ ძირიანად შეარყია ფეოდალური საფუძველი ჩვენის სასულიერო წოდების ყოფა-ცხოვრებისა. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებო და შესანიშნავია, რომ ძეგლმა ცვლილება ზემოდამ ქვემოდ დაიწყო, მაღალ ხარისხოვნებს შეებრძოლა, ფეოდალობის ბურჯს — გვარიშვილობას დასცა პირველი ლახვარი... მოგეხსენებათ, რომ ამ გვარიშვილობასთან გამკლავება, შეჭიდება ადვილი საქმე არ იყო, რადგანაც ძველს საქართველოში, როგორც სხვა გვარი, ისე საეკკლესიო მოხელეობაც ერთსა და იმავე გვარის საკუთრებას შეადგენდა, ერთსა და იმავე გვარეულობაში ტრიალებდა. მართალია, დაწერილი კანონი არ ამბობდა, რომ ესა-და-ეს საეკკლესიო თანამდებობა, აი თუნდა მღვდლობა, ამა-და-ამ გვარის თუ ოჯახის საკუთრება უნდა იყვესო, მაგრამ სჯულზედ უმტკიცესი ჩვეულება სწორედ ამ გზას ადგა, თითქმის სავალდებულოდ ხდიდა ერთი და იგივე მოხელეობა განუწყვეტლივ ერთსა და იმავე გვარეულობაში დარჩენილიყო[35]).

რაკი ნიჭს გზა ფართო მიეცა, ღირსებას — თაყვანის-ცემა, საეკკლესიო მმართველობაც განახლდა, განიწმიდა. შემდეგში საეკკლესიო სამართალმა მხოლოდ ყურადღება მიაქცია, რომ ეპისკოპოზს წესისა და კანონისამებრ ეზრუნვა ეკკლესიისა და სამწყსოსათვის (კათალიკოზის სამართალი, მუხ. ც); ზნეობრივი სიწმიდე და მეცნიერება სავალდებულოდ დაწესებული იყო ძეგლისაგან. რადგანაც ამ ღირსებით შემკულს ეპისკოპოზს შეიძლება დაემორჩილნენ ხელქვეითნი და ეს ღირსება ძეგლმა თავის საფუძვლად აღიარა, ამიტომაც ესეც დაადგინა: „მღვდელი ანუ დიაკანი შიშითა ღვთისათა ემცნებოდენ მას“ (მუხ. ც). დიაღ, მეგლის წერამ მოსპო საეკკლესიო გამგეობაში უწესოება, დააწესა, რომ გამგებელი ალჭურვილი უნდა იყოს ზნეობრივის ღირსებითა, მეცნიერებით და ამ ნაირს უფროსს ემორჩილებოდეთ ხელ-ქვეითნიო...

[35]) საყურადღებოა, რომ ეს ძველი ჩვეულება ხელ-უხლებლად დარჩენილა იქაც-კი, სადაც იმის იმედი არ უნდა გვქონოდა. მაგალითად, ოსმალეთის საქართველოში, ლაზისტანში, შავის ზღვის პირად, ფარხალის ხეობაში ერთი მუჭა ქრისტიანი ქართველები სცხოვრობს, რომელთაც გარშემო გათათრებული ქართველები არტყიან. ფარხალელს ქრისტიანებს მღვდლებად ლებრაძის გვარისანი ჰყავანან; ამ ლებრაძის გვარეულობაში ტრიალებს მღვდლობა. იხ. „Три мѣсяца въ Турецкой Грузіи“, Тиф. 1875 г., стр. 124.

## VI

მეგლის წერა მარტო ეპისკოპოზებს და მაღალს დასს როდი ებრძვის, არა — იმის ბრძოლის ველი უფრო ფართოა: ძეგლი სდევნის ყოველ გვარ ბოროტებას და ნაკლულევანებას, რომელიც გავრცელებული იყო მთელს სასულიერო წოდებაში. მართალიც არის. როცა საეკკლესიო მმართველობა ულირს ეპისკოპოზებს ებარათ, მაშინ თვითოეული დასი სასულიერო წოდებისა, ცოტად თუ ბევრად, ზნეობით დაცემული იყო. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ცუდი მმართველობა ჰრყვნის და ზნეობრივად ჰხრწნის როგორც მაღალს, ისე დაბალს დასსა, როგორც უფროსთა, ისე უმცროსთა, ხელ-ქვეითთა. ულირს ეპისკოპოზებმა ეგრედ წოდებული ხელთ-დასხმა ანგარებისა და ვაჭრობის საგნად გარდააქციეს, — სულ მცირედის ხარისხის მისაღებად ქრთამი და ძღვენი იყო საჭირო. ეს ანგარება, ხარისხით ვაჭრობა საყოველთაო სენს შეადგენდა, თვითოეულს დასს ეს სენი შეჰყროდა, — «ნუმცა მიიღებენ რაითურთით ნურა-რას, ნუ ოდეს... ნუცა კათალიკოსი... ნუცა ეპისკოპოსნი სხვათაისა დასისაგანთა» (მუხ. დ). ძეგლი კრულვითა და რისხვით იხსენიებს ამ საზოგადო ბოროტს: «მოისპოს და აღიხოცოს», მქმნელი ამ ბოროტებისა «შეიჩვენოს ვითარცა სვიმონ მოგვი პეტრე მოციქულისაგანაო...»

არ ითქმის, რომ მარტო ძეგლის დროს იყო გავრცელებული სასულიერო წოდებაში ხსენებული ბოროტება, არა: ანგარების მოყვარება, ქრთამი, როგორც სჩანს ჩვენის სჯულმდებლობიდამ, ხშირი მოვლენა ყოფილა სასულიერო წოდებაში [...] უმაღლესი დასი ხელთ-დასხმა[...] ბევრჯელ ჰყიდდა ხოლმე. რო[...] ერის ზნეობა დაცემულა და ხალ[...] ხთან ერთად სასულიერო წოდე[...] ბაც გარყვნილებასა და ბიწიერება[...] ჩავარდნილა, მაშინ ანგარებასა [...] ქრთამს დიდი ადგილი ჰსჭერია საე[...] კკლესიო მმართველობაში. და [...] ერთი მრავალთაგანი ამის დამამტკ[...] ცებელი მაგალითიც: მოგეხსენებათ, რომ საყოველთაო უზნეობამ გამო[...] იწვია მეგლის წერის შემდეგ ეგრე[...] წოდებული კათალიკოზის სამართა[...] ლი[36]); ეს სამართალიც იხსენიებ[...] რომ ქრთამის აღება გავრცელებუ[...] ყოფილა სასულიერო წოდების უმა[...] ღლეს დასში; იგი სამართალი, რო[...] გორც ძეგლიც, ებრძვის ამ ბოროტს: «რომელმანცა ეპისკოპოზმან ულირ[...] სი მღვდელი ანუ დიაკონი აკურთ[...] ხოს... ქრთამი აართვას, შეჩვენებუ[...] ლიმც არის; ნურც ეპისკოპოზი, ნურც მოძლვარი და წინამძღვარი ქრთამითა ნუ დაიდგინების»... (სამ. კათ., მუხ. ით). რა თქმა უნდა, რომ ქრთამი აუძლურებდა მთელს საეკკლესიო მმართველობას, ულირს და უმეცარს ანიჭებდა მღვდლობის ხარისხს და ამიტომაც ჩვეულებრივი სა[...]

[36]) აი შესავალიც ამ სამართლისა: „[...] დი სიუმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგა[...] მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემო[...] ვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკკლესიის კრეხვა და უხვედრობა; დავივიწყეთ რჯულის კანონი და ჩვენცა იმისაგან გარდმოვიდ[...] ნით“...

ულს, რომ ეს ფრანგი ცალს ტყავში ოცს მანეთს მოგცემთო. კადაც დაუნიშნა და ამ კადისათვის არ უნდა გადაეცილებინათ. რათა კაჩრებს კადისათვის არ გადაეცილებინათ და არ მოეტყუებინათ ის ფრანგი, რომლისაც ვითომც მხოლოდ თარჯიმანი იყო ეს კაყბატონი, ამისათვის თითოეულს მათგანს ატყობინებდა ზეს იჩისდა მიხედვით, თუ ვინ რამდენის ასის მანეთის ტყავის მოტანა აიღო. ურთიერთის შორის პირობაზედ-კი აწერდა ამ ფრანგის სახელსა და გვარს თვით ეს კაყბატონივე.

კაჩრები რომ ხარბი ხალხია, ეს ყველასათვის ცხადი და აშკარაა. ამისათვის ამ აღებულ საქმეს თითოეული მათგანი დიდის მოწიწებით ჰმალავდა და არ აცხადებდა, რადგანაც გაკეთებას ჰფიქრობდნენ ამ ახლად აღებულის საქმისაგან. ხუმრობა არის, მკითხველო, ოც მანეთად მროხის ტყავი?! ისიც ჩვენში, სადაც შეძლებული თავადი ან აზნაური, სტუმრის მოყვარე, დღეში თითო მროხასა ჰკლავს. ასე და ამ გვარად ამ ზემოხსენებულმა ყმაწვილმა ბეის ჩამორთმევით რამდენსამე ათას მანეთს მოუყარა თავი. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყოველსავე ამისთანა საქმეს მოკლე ხანი აქვს; ამისათვის ამ კაყბატონსაც შეუტყეს ყოველივე მოქმედება და ოინები და ამოაყოფინეს თავი საპატიმროში, სადაც ამ ჟამადაც იმყოფება, ვიდრე იმის საქმეს სასამართლო განიხილავდეს. ფრანგს-კი ჩვენება ჩამოართვეს და თავდებ ქვეშ დროებით გაანთავისუფლეს; განთავისუფლდა თუ არა ეს კაცი, დაუყოვნებლივ უკანვე ტფილისისაკენ გაემგზავრა.

ზემოხსენებულ ოინბაზობასთან აი კიდევ რა ჩაუდენია ამ თვრამეტის წლის ქართველ ამერიკელს. ამ ყმაწვილს ერთი და ჰყოლია, რომლის გათხოვებაც მაშინვე მოუნდომებია, როცა ჯერ იმისი საქმე არ გამომჟღავნებულიყო. უნდოდა თავისი და რიგიანის კაცისათვის მიეთხოვებინა, ხოლო ამისათვის-კი, რასაკვირველია, მზითევი იყო საჭირო. ყმაწვილმა არც აცხელა, არც აცივა, დასწერა ათასის მანეთის ვექსილი და მოაწერა ერთის აჭარის შეძლე მებაჟე ფრანგის სახელი და გვარი. ამ საქმეშიაც გაიმარჯვა ჩვენებურმა ამერიკელმა და გაბა ბადეში ერთი თავ-მომწონე ახალგაზდა, რომელსაც სურვილი გამოუცხადებია ქალის შერთვისა იმ პირობით, თუ ზემოხსენებულს ვექსილს მისცემდა მზითევად. პირველში დიდს უარზედ შემდგარა ყმაწვილი ოინბაზი, განგებ, რასაკვირველია, მაგრამ ბოლოს-კი დათანხმებულა. დათანხმებას ქორწილი მოჰყვა. ბოლოს, როცა ამ კაყბატონის მოქმედება გამომჟღავნდა, ახალმა სიძემაც ეჭვი აიღო ვექსილზედ და წარადგინა სასამართლოში, რადგანაც ვადაც გავიდა ფულის გადახდისა ვექსილისამებრ. დაიბარეს ის, ვისიც სახელი და გვარი ეწერა ვექსილზედ, და იმან გაიოცა და უარ-ჰყო ვალი.

ქუთაისური დათიკო

## წერილი მოსკოვიდამ

შაბათს, 26 მარტს, ლიანოზოვის თეატრში ითამაშეს სომხურს ენაზედ «ჰამლეტი», ტრაგედია შექსპირისა. ჰამლეტის როლი შეასრულა ცნობილმა არტისტმა ადამიანმა. ჩვენ პირველად ვნახეთ ადამიანი შაბათს და უნდა გულახდილად ვაღიაროთ, რომ იმისი თამაშობა ისეთი არ იყო, როგორსაც მოველოდდით. თვით სომხები ამბობდნენ, რომ ოტელოს როლი უკეთესად შეასრულაო, ჩვენ-კი, სამწუხაროდ, ოტელოს წარმოდგენაზედ ვერ დავესწარით.

ხოლო ჰამლეტის როლის აღმსრულებელთ დიდი ხანია თვალს ვადევნებთ. ჩვენ გვინახავს ამ როლში ევროპის გამოჩენილნი არტისტები ბარნაი, პოსსარტი და მიტტერვურცერი; გვინახავს საუკეთესო რუსის არტისტები, ლენსკი და კოზელსკი, გვინახავს ჩვენი არტისტი ალექსეევ-მესხიევიც. გერმანელ არტისტებს ადამიანს გვერდით ვერ დავუყენებთ და რუსების არტისტის ლენსკისთან შედარებით-კი ერთმა მოსკოველმა გაზეთმა ადამიანი ლენსკიზე დაბლა დააყენა. როგორც მოგეხსენებათ, ჰამლეტის როლის აღმასრულებელნი იყოფიან ორს ბანაკად—ერთი ბანაკი ისე თამაშობს ჰამლეტის როლს, ვითომ ის იყოს ცოტად თუ ბევრად სულით ავადმყოფი (მიტტერვურცერი და პოსსარტი), მეორე-კი—ვითომ ჰამლეტი სულითაც და გონებითაც სრულიად მრთელი და საღი იყოს (ბარნაი).

ჰამლეტის გამოცნობა მეტად ძნელია. ამიტომ ზოგნი სულით ავადმყოფს, პესიხოპატს გვიხატავენ, როგორც, მაგალითად, მიტტერვურცერი, ზოგნი დაღვრემილსა და მელანხოლიკს, როგორც მაგალითად, პოსსარტი. ბ-ნმა ადამიანმა წარმოადგინა კაცთა-მოძულე, მიზანტროპი. ბ-ნი ადამიანი მიზანტროპია მეფესთან ბაასის დროს და მაშინაც, როცა დედას და ოფელიას ელაპარაკება. რამდენად მართალია ჰამლეტის როლის თამაშობა ასე, ეს თვით მკითხველმა გადაწყვიტოს.

დიდად საეჭვოა—შეიძლება თუ არა ჰამლეტი გაიტაცოს რაიმე ვნებამ და ღრმა გრძნობამ. ნუ დავივიწყებთ, რომ ჰამლეტი მეტად გაუბედავი კაცია, ყოველს ფეხის გადადგმაზედ გონებას ეკითხება; უფრო მეტად საეჭვოა, რომ მიზანტროპი აღელდეს აღგზნებულმა გრძნობამ. ბ-ნს ადამიანს აკლდა ერთიანობა და თანაბრობა როლის აღსრულებაში; მიტტერვურცერს რომ უყურებთ, გიკვირთ, რა ერთიანის აზრითა და თანაბარობით ასრულებს ამ როლსაო. შემოვიდა თუ არა მიტტერვურცერი სცენაზედ, მაშინვე გაჩერდა ერთს ადგილას, გააშტერა თვალი, მიიღო შეშლილის სახე, და შეშლილის ხასიათი წმინდად დაიცვა.

მეორე ნაკლულევანება ადამიანის თამაშობისა ტეხნიკის შეუმუშავებლობა იყო: ტანის შემოკვრა პატეტიურს, ტრაგიკულს ადგილას მეტად შეუწყნარებელი ცოდვაა არტისტის მხრივ. ტანისამოსის შესახებ შეგვიძლიან დამტკიცებით ვსთქვათ, რომ ვერცხლის ქამარი დიდრონისა და ქალაქურის ღილებით ჰამლეტის წელს თავის დღეში არ უნახავს. ეს ცვლილება, როგორც გამოსვლა ჯოხის თლით მესამე მოქმედებაში, სომხის არტისტის მოგონება უნდა იყოს. ოფელიას როლს ასრულებდა არტისტი-ქალი ზაბელი, მაგრამ, საკვირველია, რომ არტისტობა არავერში ეტყობოდა. შეხედულობითაც მშვენიერს ოფელიას არ გვაგონებდა.

კვირას, 29 მარტს, როდონის თეატრში ითამაშეს ლაზარევის ლიცეის სტუდენტებმა სპარსულ, არაბულ და ოსმალურ ენაზედ. ოსმალურს ენაზედ ითამაშეს ძალიან ქემი მოლიერისა. თამაშობამ მეტად კარგად ჩაიარა. საზოგადოებამ სურვილი გამოაცხადა, რომ შემდეგში ქართულს ენაზედაც იყოს რამე წარმოდგენილიო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სურვილი შეუსრულებელი არ დარჩება.

ა. ხ.

## წვრილი ამბები

ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი გვქონდა ემილ ზოლას აზრი გენერალს ბულანჟეზე. აი ამავ ბულანჟეზე რა აზრი წარმოუთქვამთ ერნესტ რენანსა და ტენს. „Figaro“-ს რედაქციისათვის ერნესტ რენანს ღიმილით უთქვამს, რომ კარგად და დაწვრილებით არ ვიცი ყველა ის ამბები, რომელიც პოლიტიკაში ხდებაო. ეხლა უქაიფოდა ვარ და უბულანჟეოდაც ბევრი სახვათახალო საგანი მიტრიალებს თავშიო. ამ სიტყვებისათვის შემდეგ დაუმატებია: «ჩემის აზრით, ძალიან მავნებელია ყველა ის აშლილობა და ალიაქოთი, რომელიც ბულანჟემ გამოიწვია. ყველა თქვენი ამბები, მოსაზრებანი, ხმანი, ნამდვილის წყაროდგან და უნამდვილოდგან შეტყობილნი, აზრნი უფრო ჰრევენ და ჰშლიან საქმესა. გენერალ ბულანჟეს საქმეშიაც სამაგელის ხმაურობის მეტი არა მესმისრა. თუ ქუჩაზედ ბრბო ხალხისა შეგრებილა და შეიძლება არეულობა მოხდეს, რაღა საჭიროა, რომ შეკრებილთ კიდევ სხვებიც მიემატნენ. გონიერი და მშვიდობიანი კაცი სახლში უნდა იჯდეს არხეინად. როცა ცეცხლი ეკიდება რასმე, მაშინ ხომ წყლითა და სველის ტილოთი სცდილობთ ცეცხლის განელებასა და არა ერბოთი». ტენს ძალიან მოკლედ უპასუხნია: „მე, როგორც ყველა კეთილი და მშვიდობიანი მოქალაქე, ვკითხულობ გაზეთებს, ხოლო ჩემი თავი ღირსეულად არ მიმაჩნია, რომ შევიძლო და პასუხი მოგცეთ თქვენს საკითხავზედ. ბულანჟეს გამო ატეხილ საქმეებისათვის არასოდეს თვალი და ყური არ მიდევნებია; ბულანჟე იმ დეპარტამენტში არ არის კანდიდატად დანიშნული, სადაც მე ამომრჩეველად ვარ, სახელდობრ ზემო სავოიაშიო“.

— ტოკიოში გამოუციათ ამას წინად პირველი თარგმანი იაპონურს ენაზედ დაბადებისა. ამ თარგმანზედ ბევრი უშრომნიათ, რადგან ზოგიერთი პირუტყვები, ფრინველები, ქვემძრომნი და ხეხილები, რომელიც ნახსენებია დაბადებაში, არ არსებობს თურმე იაპონიაში. ამის გამო არ-არსებულ საგანთათვის უნდა გამოეძებნათ ახალი სახელები, დაახლოვებით იამათი მაგვარი მაინც და ამის მოხერხება-კი ადვილი არ იყო.

---

ნახავი იყო ხოლმე, რომ ქრთამით ხელთ-დასხმული მოძღვარი თავის სამღთო მოვალეობას ვერ ასრულებდა, სხვა-და-სხვა ავ-კაცობას სჩადიოდა. საკვირველი არაა, რომ ქრთამი უმეცრებას ასპარეზს უხსნიდა და უმეცრება კიდევ ლაღად ვარჯიშობდა. მართალია, ყველა მაღალის დასის წარმომადგენელი «სვიმონ მოგვის» რწმენას არ მისდევდა, უზნეობის დროსაც-კი ამ დასში საკმაოდ მოიპოვებოდა შეუმწიკვლელის ხასიათის მოღვაწენი, მაგრამ მღვდლობა მაინც ღრმად იყო დაცემული ზნეობრივად და გონებით, ასე რომ, საზოგადო კანონის გარდა, საჭიროება თხოულობდა ეპისკოპოზს კერძო განკარგულება გამოეცა და ბოლო მოეღო მღვდლების სხვა-და-სხვა ბოროტებისა და ავკაცობისათვის. სწორედ ასე მოიქცა, სხვათა შორის, სამთავისის ეპისკოპოზი გრიგოლ, რომელმაც XVI საუკ. ნახევარში გამოსცა ფრიად საყურადღებო დადგენილება, სადაც მოხსენებულია, რომ მღვდლები არა თუ არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, არამედ ავ-კაცობასაც სჩადიოდნენ, მაგალითებრ, ქურდობდნენ, მეორედ ჯვარს იწერდნენ, ერის კაცისავით თოფ-იარაღს ხმარობდნენ და სხვა[37]). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დადგენილება გრიგოლ ეპისკოპოზმა მთელის სამთავისის საზოგადოებისა და ყველა მამასახლისების თხოვნით გამოსცა; მაშასადამე, საზოგადოებას საქმე გაჭირვებული ჰქონია მღვდლებისაგან.

როგორც სჩანს, არც დასავლეთ საქართველოში იყო მღვდლობა კარგს მდგომარეობაში; აქაც გარემოება და საჭიროება თხოულობდა, რომ ეკკლესიის უმაღლეს წარმომადგენელს, კათალიკოზს, ყურადღება მიექცია მღვდლობის არა-სანატრელ მდგომარეობისათვის. წარსულ საუკუნის დამლევს სწორედ ასე მოიქცა წარჩინებული აფხაზ-იმერთა კათალიკოზი მაქსიმე, რომელმაც გამოსცა დარიგება, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ, რომ «მღვდელს წირვისა და ნათლის-ღების სრულებით აღსრულება არ ძალ-ედვა»; «უწესოდ იქცეოდა ანუ ნაყროვანებითა და სხვითა რომლითამე ბოროტითა» და სხვა.[38]). დარიგება ცხადად ამტკიცებს, რომ სასულიერო წოდების დაბალს დასში გავრცელებული ყოფილი ზნეობრივი სიწამხდრე და უმეცრება.

ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი იქნება ქრთამის გარდა სხვაც რამე იყო, მაგრამ ძეგლის წერის დროს-კი სწორედ ქრთამი ჰბადავდა უმეცარს სამღვდელოებას. მართალია, ძველ დროს საქართველოში ქრისტიანობას აყვავებულს ვხედავთ, ქრისტიანობრივი სარწმუნოება მზესავით ჰბრწყინავდა და იმისი ცხოველი ძალა ღრმად ჰქონდა ხალხს გამჯდარი მთელს არსებაში; ასე გასინჯეთ, ეხლაც-კი გამაჰმადიანებულ ქართველებს ქრისტიანობა და ქართველობა ერთი და იგივე მოვლენა ჰგონიათ,— მთლად ქრისტიანობა მხოლოდ ქართველობაა და სხვა არაფერიო, ეხლაც ძველს დანგრეულს ტაძრებს მათთვის სიწმიდე არ დაუკარგავს და სასწაულთ-მოქმედებას იჩენს; ზოგიერთს ეკკლესიას ეს გაურჯულებული ქართველი ერი შიშისა და კრძალვით გამო ახლოც ვერ ეკარება[39]), მაგრამ ხსენებული გარემოება სრულებითაც არ არღვევს ჩვენს აზრს: სასულიერო წოდების დაბალი დასი, მღვდლობა, მაინც ხშირად საშინელს უმეცრებაში იმყოფებოდა. ქრისტიანობის აყვავება საქართველოში უფრო სხვა მიზეზებზედ არის დამოკიდებული. მაგრამ საგანს ავსცდით...

რაკი ხელთ-დასხმა ქრთამისა და ძღვენის საქმე იყო, ხარისხის მიღებაც ვაჭრობად გარდაიქცა: არც წლოვანება და სამსახური, არც სწავლა და განვითარება, საჭირო იყო მხოლოდ ფულისა და სხვა საფასის რაოდენობა; «სვიმონ მოგვის» ხელობამ ღრმად გაიდგა ფესვი, მთლად შეჰხუთა საეკკლესიო მმართველობა; სამსახური, საზოგადო მოღვაწეობა კაცის საღმთო მოვალეობას აღარ შეადგენდა, იგი მარტო პირადის სარგებლობის იარაღად შეიქმნა; სამსახურს და ხარისხს მხოლოდ ყიდულობდნენ, ღირსებას პატივი არა ჰქონდა. მოგეხსენებათ, რომ სამსახურში წარმატება, წინ-მსვლელობა დამოკიდებულია მოხელეს პიროვნულს ღირსებაზედ, იმის ნიჭსა და გამოცდილებაზედ, გაწვრთვნაზედ. მაგრამ სულ სხვა ნაირად იყო მოწყობილი საეკკლესიო სამსახური ძეგლის წერის წინად: მოხდებოდა ხოლმე და ხშირადაც, რომ სრულიად ახალგაზდა და გაუწვრთვნელი კაცი მაღალს ხარისხს მიიღებდა, დაბალ სამსახურიდამ მეტად მსწრაფლად ადიოდა მაღალზედ. ამ გვარი წესი, რასაკვირველია, საზოგადო მოღვაწეობას ამცირებდა, ზნეობრივს ძალას უკარგავდა სამსახურსა; ამიტომაც ეს უკანასკნელი მარტო გარეგანის პატივდიდებისა და სიმდიდრის მოსახვეჭელ იარაღად-ღა გარდაიქცა. ძეგლის წერა წინ აღუდგა ამ მავნებელს და დამღუპველს წესსა და იმის მოსასპობლად აი რა საშუალება იხმარა. პირველად დაადგინა, რომ ღირსებისა და ადგილის მისაღებად მოუცილებლად საჭიროა წლოვანებაო,—«ეპისკოპოსი ოც-და-ათხუთმეტისა წლისა, მღვდელი ოც-და-ათისა წლისა, დიაკონი ოც-და-ხუთისა და წიგნის მკითხველი რვისა წლისა ხელ-დასხულ იქმნებოდინ» (მუხ. ბ.). მაგრამ მარტო წლოვანება ხომ საკმაო არაა, საჭიროა, რომ მოხელემ ერთსა და იმავე სამსახურში რამდენიმე ხანი დაჰყოს, გაიწვრთვნას, გავარჯიშდეს და მხოლოდ მაშინ მიიღოს წარმატება, წინ ნაბიჯი წასდგას სამსახურის სარბიელზედა. ამიტომ მეორედ ძეგლმა სასტიკად აკრძალა ერთსა და იმავე დღეს, ან მოკლე ხანში, სხვა-და-სხვა ხარისხისა და სამსახურის მიღება: «მასვე და ერთსა დღესა ხელნი დაესხნეს ვისმე... (ჩამოთვლილია ხარისხი წიგნის მკითხველიდგან დაწყებული ეპისკოპოზამდე)... რომელი ესე უკეთუ-იქმნას-ღა სადა, ამიერიდგან ხელთ-დამსხმელი და ხელთ-დასხმული ერთბამად განიკვეთნენ». წიგნის მკითხველად და კერძო დიაკონად ხელთ-დასხმა ერთსა და იმავე დღეს კიდევ შეიძლება, მაგრამ სხვა ხარისხზედ-კი არაო. რასაკვირველია, თუ რაიმე სათანადო მიზეზი ხელს უწყობდა, შეიძლებოდა «წრაფობლად», რამდენისამე დღის განმავლობაში, დიაკონობიდამ დაწყებული ეპისკოპოზობის მიღება, მაგრამ, როცა საჭიროება ამას არ მოითხოვდა, მაშინ—«წელიწადი და წელიწადნი დაჰყვნენ თვითოეულსა ხარისხსა შინა და უფროს-ღა დიაკნობისასა» (მუხ. ბ). ძეგლის წერა მეტადრე დიაკონების სიმრავლეს დიდად აფასებს, რადგანაც იმათ სიმრავლეზეა დამოკიდებული საეკკლესიო წესთა მშვენიერებაო და ეპისკოპოზებსაც ავალებს—ეცადეთ, დიაკონები გამრავლდნენო...

ნ. ურბნელი

[37]) Церк. Гудж., стр. 49. ამ დადგენილებიდგან სჩანს, რომ მღვდლები თავიანთ მოვალეობას არ ასრულებდნენ; ქმრიან ქალებს ჯვარსა სწერდნენ, ავადმყოფნი უზიარებლად კვდებოდნენ, ბავშვნი მოუნათლავად, მიცვალებულნი წესის აუგებლად იმარხებოდნენ და სხვანი. თვითოეულ ამ დანაშაულობისათვის რამდენიმე ძროხა ერთმოდა მღვდელს ჯარიმად ეკლესიის სასარგებლოდ. ხსენებულს დადგენილებაში ზოგი ისეთი რამეა მოხსენებული, რაიც დააწესა ძეგლის წერამ: შეადარე, მაგალითად, ამ ძეგლის ვ, იბ, იდ მუხ.

[38]) Археол. пут., стр. 338—340. ეს მაქსიმე უკანასკნელი კათალიკოსი იყო და ქ. კიევში გარდაიცვალა 1779 წ. როგორც გუჯრებიდამა სჩანს, მაქსიმე კათალიკოსი ფრიად მხნე კაცი ყოფილა; სხვათა შორის ამან აკრძალა ქრისტიანების გაყიდვა ოსმალეთში და წინ აღუდგა ამ მავნებელს ჩვეულებას, რომელიც აუძლურებდა მთელს დასავლეთ საქართველოს. Церк. Гудж., стр. 151—154.

[39]) Три мѣсяца въ Турец. Грузіи, стр. 16, 34; იხ. აგრეთვე Археол. пут., стр. 16, 27 და სხვა. როგორც დ. ბაქრაძე ამბობს, სიტყვა ქართველი აჭარლებმა არ იციან, стр. 44; იქნება ამიტომაც ქართველობა და ქრისტიანობა ერთი და იგივე ჰგონიათ.

ძველის აღთქმის გადათარგმნისა და გამოცემის ხარჯი უკისრნია „შვეციის დაბადების საზოგადოებას“, ხოლო ახალის აღთქმისა — «ამერიკულ დაბადების საზოგადოებას», რომლის ერთი წევრიც, დ-რი გეპბორნი, თვალ-ყურს ადევნებდა მთარგმნელთა შრომას და ხელმძღვანელობას უწევდა.

— პარიჟის გაზეთები ამბობენ, რომ როცა იმპერატრიცა ვიქტორიასათვის ადრესი უნდა მიერთვათ და აქა-იქ ხელს აწერინებდნენ, სასწავლებლის მასწავლებელ-ქალთა და გიმნაზიის მასწავლებელთ უარი განაცხადეს ხელის-მოწერაზედაო.

— ერთს ინგლისელს კონცესია უთხოვნია ოსმალეთის მთავრობისათვის იორდანეს წყლის ზიდვისა. თითო ბოთლს იორდანეს წყალში 6 კაპიკს მოვცემთ, თუ ოსმალეთის მთავრობა ოფიციალურად ნიშანს დაადებს თავის მხრივ ბოთლსა და დაამტკიცებს, რომ ნამდვილად იორდანეს წყალიაო.

— ისპანიის დეპუტატთა პალატაში რესპუბლიკელთა დასს გარდაუწყვეტია, რომ წინადადება შევიტანოთ, რათა საპოლიტიკო დამნაშავეთაც ამპატიოთ დანაშაულიო.

— კემბრიჯის პროფესორს გემფრს «Nineteenth Century»-ში აუწერია ცხოვრება 66 მოხუცისა, რომელთაც 100 წელიწადზე მეტი უცოცხლიათ. ამ 66-ში 34 არასოდეს არა ყოფილა მალიან ავად და ორს დედაკაცს, თითოს 104 წლისას, სრულიად არა სცოდნიათ, თუ რა არის ავად გახდომა და სნეულება. ამ 66 ადამიანში მოხუცებულობის დროს მხოლოდ ერთს დასჩემებია უძილობა. 45-ი 66-დგან სრულიად არ ადევნებდა თურმე თვალ-ყურს თავის სტომაქსა და არა სცდილობდა ისეთი საჭმლები უფრო ეხმარა, რომ ადვილად და კარგად მოენელებინა; მხოლოდ 4 ყოფილა ისეთი, რომ დრო-გამოშვებით კუჭი მოუშლებოდათ ხოლმე. ამ 45 მოხუცში 30 მშვენიერი მეხსიერება ჰქონია, 9 — შუათანა და 6 — სუსტი. ხანგრძლივ სიცოცხლისათვის სრულიად საჭირო არ არის, რომ ადამიანი მაინცდა-მაინც საჭმლისა და სასმლის სასტიკს არჩევანში იყოს. საზოგადოდ ეს მოხუცნი საჭმლის ხმარებაში თავ-დაჭერილნი ყოფილან: 38-ში 3 სულ მწვანილეულობასა ჰხმარობდა, 20 ცოტა ხორცს ატანდა და ერთი-კი მეტის-მეტად ეწყობოდა თურმე ხორცსა; სასმელების მხრივ 44-ში 15 მარტო წყალსა ჰხმარობდა, 22 — არაყსა და ზომიერად ლუდსა, 2 ცოტა-ცოტა ალკოჰოლს ეტანებოდა და 5 სულ წრეს-გადასული ლოთი იყო. ეს ხუთნივე გლეხები ყოფილან და როცა ფული არა ჰქონიათ, არ უსვამთ. დედათა სქესს არა-მცირედი ადგილი უჭირავს ამ სტატისტიკაში: 66 მოხუცში 43 მანდილოსანი ყოფილა. ინგლისის სტატისტიკიდგან უფრო ცხადადა სჩანს, თუ რა ხანგრძლივადა სცოცხლობენ ქალები. 1873 წელს ინგლისში 80 კაცი გარდაცვლილა, რომელნიც 100 წელზე მეტისანი ყოფილან, და ამ 80-ში 79 მანდილოსანი ყოფილა. 23 კაცში ერთი უცოლო ყოფილა. 43 მანდილოსანში 12 ქალწული, გაუთხოვარი ქალია. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ 66 ას-წლოვან ადამიანში 34 მეურნეობას მისდევდა თურმე, 22 სრულიად ღარიბი და უქმი იყო და მხოლოდ 4-ს ჰქონდა შეძლება.

# დეპეშა

6 აპრილი

**ბერლინი.** «საიმპერიო უწყებაში» დაბეჭდილია, რომ იმპერატორმა ღამე კარგად, მოსვენებით გაატარაო; ციება ჯერ კიდევ არ შესწყვეტია.

**პარიჟი.** ბულანჟეს განზრახვა აქვს, რომ წავიდეს მომავალს კვირაში ჩრდილოეთ დეპარტამენტში იმ დროს, როცა პრეზიდენტი რესპუბლიკისა კარნო ბორდოში წავა.

პეტერბურგის ბირჟა 5 აპრილი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | 9 | 65 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 192 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 41 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | ,, | — | ,, | $267^3/_4$ | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | $243^3/_4$ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7396**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისა ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

აპრილი 30 დღით არის.

8 დღე პარასკევი. მოწ. იროდიონისა და ფლეგონტისა. კათოლ. იანუარისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—39. მთვარე 10 დღისაა.

9 დღე შაბათი. წამ. ევპსიხიასი და ვადიმისა. კათოლ. მარიამისა. სომეხ. ხაროში ჩაგდება დიდ-მოწამის სომეხთა განმანათლებელის გრიგოლისა. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისი.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—47. მთვარე 11 დღისაა.

10 დღე კვირა. ღირსთა ტერენტისა და მაქსიმესი. კათოლ. მარიამ ეგვიპტელისა. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 6—49. მთვარე 12 დღისაა.

11 დღე ორშაბათი. წამება მარტიანიანისა. კათოლ. ლეონისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა შაბანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—7, ჩადის 6—50. მთვარე 13 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
2 › 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› » 2 › 3½
› › 3 › 3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში ›
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
მროხის ხორცი . . . 9 ›
› 2 › 8 ›
სუკი . . . . 16 ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 12 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. » ›
› 2 › » ›

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა

შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით — დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საავენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი.... | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა.... | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა.... | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები.... | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი ..... | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა ..... | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი...... | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი... | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი ... | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი... | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი..... | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო ... | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი ... | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი ..... | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური..... | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი...... | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი..... | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი .... | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი....... | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა... | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა .... | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი... | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი. | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი.. | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი... | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა..... | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა... | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი ....... | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი.... | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი...... | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი ..... | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური..... | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი ....... | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი..... | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო... | 8 | 5 | 8 | 7 | გორი ...... | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი ... | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი.... | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი .. | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი ....... | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა...... | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი ... ... | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები.... | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა ...... | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა...... | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი ... | 11 | 13 | — | — | ტფილისი. | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი. | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი. . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში მესამე სახელმძღვანელო წიგნი მიხეილ ნასიძისა:

**ქართველი მწერლები**

**ვახტანგ მე-VI.**

ფასი 15 კაპ.

(10—3)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის

**შვედურის სპიჩკებისა,**
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

**ქ ა რ ხ ა ნ ა**
**გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კ°.**
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—47)

**ნამდვილი საუნჯეა**
ყველასათვის განთქმული წიგნი

**თავის მოვლა**

თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

**ფასი 1 მანათი.**

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlags-Magazin in Leipzig. (50—11)

**წერა-კითხვის გამავრცელებელ**
საზოგადოების
**წიგნთ-საწყობში**

**(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)**

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა გიორგი წერეთლისა მიერ გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . | ,, | 20 |
| ოტელო შექსპირის ტრაგედია ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . | ,, | 50 |
| ჩატეხილი ხიდი შენიშვნები «ოთარაანთ ქვრივზე» . . | ,, | 15 |


Доз. цен. Тиф., 7 апрѣля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე